პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 88 (9179).
7 მაისი
ოთხშაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган государственного комитета Грузинской ССР по физической культуре и спорту и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

დღეს ნომერში...

⊙ წყალტუბოელთა მისაბაძი თაოსნობა
ის. მე-2 გვ.

⊙ ქუთაისელ რეგბისტთა გასაჭირი
ის. მე-2 გვ.

⊙ მოკრივეებს წარმატების იმედი აქვთ
ის. მე-3 გვ.

⊙ ფეხბურთისა და ხელბურთის ახალი ამბები
ის. მე-4 გვ.

საბჭოთა ხუთჭიდელების წარმატება

ვარენდორფში (გფრ) გამართულმა თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირმა ამჯერად მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. ამ ასპარეზობაში 14 ქვეყნის 68 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მით უფრო სასიხარულოა საბჭოთა ნაკრების თვალსაჩინო წარმატება. ჩვენმა სპორტსმენებმა 21457 ქულა მოაგროვეს და მთელი 218 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ უნგრეთის II გუნდს. 21136 ქულით მესამე ადგილი უნგრეთის I ნაკრებმა დაიკავა. **საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ა. ავდეევი, ვ. იაგორაშვილი, ი. შვარცი და ა. ხტაროხტინი.**

პირად პირველობაში ავდეევმა იმარჯვა — 5656 ქულა. II და III ადგილები უნგრელმა სპორტსმენებმა გ. პაიორმა (5620 ქულა) და ლ. ფაბიანმა (5537) დაიკავეს.

ორ ფრონტზე

ევროპის ჩემპიონატი და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ძიუდოში

ხვალ, 8 მაისს იუგოსლავიის დედაქალაქში იწყება ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ბელგრადში გაემგზავრა სამი ქართველი ფალავანი: ლერი ნაკანი (71 კგ), შოთა ხაბარელი (78 კგ) და კობა კურტანიძე (95 კგ). ამ ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს ბოლოდროინდელ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში და დამსახურებულად დაიკავეს ადგილი ქვეყნის პირველ გუნდში (შეგახსენებთ, რომ შარშან ნორვეგიის ქალაქ ჰამარში გამართულ ევროპის ჩემპიონატში თამაზ ნამგალაურმა იასპარეზა და 71 კგ წონით კატეგორიაში ზედიზედ მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი).

ევროპის ჩემპიონატის დღეებში ტამბოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის თასის მორიგი გათამაშება ძიუდოში. შარშან ეს საპატიო ჯილდო საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. ამჯერად, როგორც ჩანს, შარშანდელი შედეგის გამეორება გაჭირდება. საქმე ის არის, რომ საკავშირო ნაკრებში გაწვეულ მოჭიდავეებთან ერთად (ისინი კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ძიუდოს ლიდერები არიან) ტამბოვში ტრავმის გამო ვერ გამოვლენ გამოცდილი ფალავნები: რამაზ მარგველანი, თამაზ ნამგალაური და მალხაზ ბერუაშვილი.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა იური იმერლიშვილმა გვაცნობა, საკავშირო თასის გათამაშებისთვის ემზადებიან შემდეგი მოჭიდავეები (დებულების თანახმად თასზე იასპარეზებენ მოზრდილთა და იუნიორთა გუნდები): რ. ლომთაძე (60 კგ), თ. ბაშარული, კ. ილურიძე (ორივე — 65), გ. თენაძე (71), ე. გოგიჩაშვილი (78), ჯ. მჭედლიშვილი (86), გ. მუმლაძე (95), ა. კობორძალიძე (+95, ყველა — მოზრდილთა გუნდი), ვ. ჯაფარიძე, კ. ცურასბედიანი (ორივე — 60), გ. მოდებაძე (65), ბ. ჯიქური (71), ტ. ჰელიძე (78), თ. ნავერიანი (86), გ. ბერუაშვილი (95), ვ. პარუნაშვილი (+95, ყველა — იუნიორთა გუნდი).



„მართვეს“ პრიზზე

ჭაბუკ მოფარიკავეთა საკავშირო პირველობა

თბილისში, საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში მიმდინარეობს ჭაბუკ მუშკეტერთა საკავშირო პირველობა „მართვეს“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ლენინგრადის, ალმა-ათის, ერევნის (2 გუნდი) საქართველოსა და თბილისის (2) ნაკრებები.

ჭაბუკთა შეჯიბრებები პერიოდულად იმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მწვრთნელებს საშუალებას აძლევს თვალნათლივ იხილონ თავიანთი შრომის ნაყოფი. ნორჩი მოფარიკავეებისათვის კი ასეთი პრაგმატიზმი, რა თქმა უნდა, უცხოა. ისინი ყველა შეჯიბრებაზე, ოფიციალური იქნება ის თუ არაოფიციალური, ერთნაირი აზარტით იბრძვიან. ასე რომ, თბილისში ამჟამად მეტად საინტერესო ორთაბრძოლები მიმდინარეობს. უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულნი ჭაბუკ რაპირისტთა და ხმლით მოფარიკავეთა შორის. რაპირისტებში სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებმა დაისაკუთრეს. გაიმარჯვა თბილისის მე-60 სკოლის მოსწავლემ ნიკა ასათიანმა, რომელიც საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა. მე-2 ადგილზე მისი თანაგუნდელი გიორგი კვარაცხელია გავიდა, მესამეზე — თბილისის გუნდის წევრი გიორგი ქართლელიშვილი (მე-10 სკოლა).

ხმლით მოფარიკავეებში 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ზაზა ქორიძე (საქართველოს ნაკრები) პირველობდა. მეორე ადგილი თბილისელმა ოთარ წარქვაძემ (53-ე სკოლა) დაიკავა, მესამე ადგილზე ალმაათელი ალექსანდრე პეტროვი გავიდა.

ასპარეზობა 10 მაისს დამთავრდება.

გუშინ...

თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე დაიწყო საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის ტრადიციული გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი ველოსიპედისტები.

გთავაზობთ პირველი დღის შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს: გიტი 200 მ. სვლით. 1. მიხაელ ჰიუბნერი — 10,362, 2. ბილ ჰუკი — 10,377, 3. ლუც ჰესლიხი (სამივე — გდრ) — 10,439.

გიტი 1000 მ. ადგილიდან. 1. ენც გლიუკლიხი (გდრ) — 1.05,880, 2. ულდის ბრემანისი — 1.06,048, 3. ვლადიმერ სულთანოვი (ორივე — სსრ კავშირის ნაკრები) — 1.06,786.

გუშინვე ჩატარდა სპრინტერთა წინასწარი შეჯიბრებები, რომელმაც რვა უძლიერესი ველოსიპედისტი გამოავლინა.

პრემიები და დიპლომები—ჟურნალისტებს

ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ პრემიებითა და საპატიო დიპლომებით დააჯილდოვა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების ერთი ჯგუფი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემია 1985 წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისათვის მიენიჭა 29 კაცს;

ვ. ვ. ვოროვსკის სახელობის პრემია 1985 წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის საერთაშორისო ჟურნალისტიკის დარგში მიენიჭა 5 კაცს, მათ შორის ორი უცხოელი ჟურნალისტია (გდრ, ნიკარაგუა).

მთელ რიგ საქალაქო, გაერთიანებების, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების კოლექტივებს მასობრივი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის (1985 წ.) მიენიჭათ **მ. ი. ულიანოვას სახელობის პრემიები.**

ამას გარდა, ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ დააწესა **სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო დიპლომი** და მით დააჯილდოვა 14 კაცი.

* * *

სკკპ XXVII ყრილობისადმი მზადების პერიოდში ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიომაუწყებლობით ეკონომიისა და მომჭირნეობის საყოველთაოსახალხო მოძრაობის უკეთ გაშუქებისათვის გამართულ საკავშირო კონკურსში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემია მიენიჭა გაზეთ **„ზარია ვოსტოკას“**.

საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის წლის ლაურეატების წოდება და ფულადი პრემიები მიენიჭათ:

ნუგზარ მუშკუდიანსა და **სანდრო მამასახლისს** სატელევიზიო გადაცემისათვის „აღსარება“.

პეტრე შამათავას წიგნისათვის „გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა“, გაზეთ **„თბილისის“** განყოფილების გამგეს **ავთანდილ ციცქიშვილს** მრავალი წლის განმავლობაში ქალაქ თბილისის და მისი შემოგარენის გამწვანების ორგანიზაციისა და პროპაგანდისათვის.

პაატა ნაცვლიშვილს წიგნისათვის „მოგზაურობა არგოთი“.

გაზეთ **„კომუნისტის“** კორესპონდენტს **ვილენ მარდალეიშვილს** ბოლო წლებში გამოქვეყნებული წერილებისათვის.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სპეციალური პრემია მუშაობის გარდაქმნისათვის მიენიჭათ გაზეთებს **„თბილისსა“** და **„ლელოს“**.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხთა ფართო გაშუქებისათვის პრემია მიენიჭა ჟურნალ **„ეკონომისტს“**.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებათა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხთა ფართო გაშუქებისათვის პირველი პრემია მიენიჭა **წყალტუბოს საქალაქო გაზეთ „დროშას“**.

მეორე პრემია მიენიჭა გაზეთ **„ვეჩერნი ტბილისის“** განყოფილების გამგეს **ელენე ჩაჩუას.**

მესამე პრემია მიენიჭა ჟურნალ **„ნიანგის“** განყოფილების გამგეს **ელგუჯა მერაბიშვილს.**

კონტრპროპაგანდისტული თემატიკის საუკეთესო გაშუქებისათვის პრემია მიენიჭა პროფესორ **გრიგოლ ჟვანიას** წიგნისათვის „საქართველოს სინამდვილე და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები“.

(საქინფორმი).

ორიენტირი — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ჩვენი გჯეროდეთ...

ის. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივლინება გუნდში

„ურმით ფრენა" გრძელდება

◉ ისევ ქუთაისელ რეგბისტთა უსახლკაროებაზე ◉ უამრავ მეურვეს ერთი გულიანი პატრონი სჯობს ◉ სახელი შეიცვალა, პრობლემები დარჩა ◉ ნუ გავაჭიანურებთ სპორტსკოლის გახსნას ◉ ენთუზიაზმსაც აქვს დასასრული, შემდეგ?..

სპორტული გაზეთის მუშაკებს გუნდში მივლინება რა მიზანს უსახავს, ყველას კარგად მოეხსენება. მკითხველებს სპორტსმენთა ცხოვრების ავკარგზე უნდა მოვუთხროთ, იმაზე, თუ რა უჭირთ და ულხინთ, რას აპირებენ სამომავლოდ, რა ხიბლია გუნდში და ა. შ. ცხადია, ქუთაისელი რეგბისტებიც ამ მიზნით მოვინახულეთ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მასალის მომზადება იმაზე, რაც მათ აწუხებთ, თბილისშიც იოლად მოხერხდებოდა — რეგბის ქართველმა მოყვარულებმა კარგად იციან რიონისპირელთა საწუხარი (განა ცოტა დაწერილა „მშენებლის" უსახლკარობაზე?) მაგრამ, საქმე ის არის, რომ წლევანდელი სეზონი გუნდმა უფროსი მწვრთნელის გარეშე დაიწყო. თბილისის ტურის შემდეგ, რომლის შედეგებმაც ერთობ შეგვაფიქრიანა, გუნდში ახალი უფროსი მწვრთნელი მოვიდა. დაგვაინტერესა ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ქუთაისში რეგბის განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა გეგმამაც.

საუბარი ქუთაისელ რეგბისტთა ყველაზე დიდი გასაჭირით, ბაზის პრობლემით, უნდა დავიწყოთ. უცხომ იკითხოს, თორემ ჩვენებურმა კაცმა იმდენი კი იცის, ტაქსის მძღოლს პირდაპირ გუნდის მწვრთნელის გვარი და სახელი უთხრას, რომ ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდეს. აი, სხვა მხრის კაცის თხოვნა — თქვენი რეგბისტების ადგილსამყოფელი მიმასწავლეთო — ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულის მცოდნესაც კი საგონებელში ჩააგდებს, რადგან არავინ იცის სად შეიკრიბებიან და ვის შეეხიზნებიან „მშენებლის" რეგბისტები, სად შეიძლება მათი მოძებნა.

ამან არ შეიძლება ქუთაისელთა ყოფილი უფროსი მწვრთნელის შალვა ჭურციკიძის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები არ გაგვახსენოთ — „ურმით ფრენა სახიფათოაო" დაიჩივლა და გაგვაფრთხილა მან ერთ შარშანდელ წერილში (ადვილი მისახვედრია, რომ „ურმით ფრენაში" ქუთაისელთა არასახარბიელო სავარჯიშო და საშეჯიბრო პირობები იგულისხმება), ამიტომ პირველად სწორედ მას ვესტუმრეთ — მასზე უკეთ ვინ გვეტყოდა, რა უჭირს და ულხინს „მშენებელს". გუნდს, რომელმაც შარშან ჩვენი რესპუბლიკიდან ერთადერთმა მოიპოვა მედლები სპორტის სათამაშო სახეობებში.

„სათანადო პირობები რომ გვქონოდა, ჩვენი გუნდი ჩემპიონიც გახდებოდა და თასსაც მოიპოვებდა. — აი, გუნდიდან წასული მწვრთნელის სევდიანი მონოლოგის პირველი სიტყვები. — ჩემი აზრით, რეგბი ისე ესადაგება ქართველი კაცის ბუნებას, როგორც ჭადრაკი — ქართველი ქალისას. იქნებ მიკერძოებადაც ჩამომართვათ, მაგრამ გარწმუნებთ ჩემი დაკვირვება მალაპარაკებს. სპორტის ბევრ სახეობაში ადამიანი ერთგვარად შეზღუდულია. ფეხბურთში, მაგალითად, აკრძალულია ხელით თამაში, კალათბურთში, ხელბურთში და ფრენბურთში ფეხით თამაში არ შეიძლება, რეგბის მოთამაშეს კი ხელითაც შეუძლია თამაში და ფეხითაც, თანაც სხარტად უნდა აზროვნებდეს. სწორედ ეს შეუზღუდველობა, თანდაყოლილი ფიზიკური და გონებრივი მონაცემების სრულად გამოყენების შესაძლებლობაა ზედგამოჭრილი ქართველი კაცისთვის. განა ტყუილად ამბობენ რეგბის სპეციალისტები, ქართველებს ამ თამაშის თანდაყოლილი ნიჭი აქვთო. ჩვენც ხომ ამ ნიჭმა შეგვაძლებინა ერთი შეხედვით შეუძლებელი, თუმცა ახლა რატომღაც მგონია, რომ საქმე მაინც უკუღმა დავიწყეთ. საძირკველი არ გვქონდა ჩაყრილი და ლამაზი სახლის შენებას შევუდექით. გზა და გზა დახმარების იმედი გვქონდა, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ამ საძირკვლის ამოყვანაში (საწვრთნელ ბაზას, სათამაშო მოედანსა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის შექმნას ვგულისხმობ) ჰჭირდებათ დახმარება, თორემ დანარჩენი ხომ მათ ნიჭზე და მონდომებაზეა დამოკიდებული. მართლაც, ბევრი წამოგვიშველა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო, რესპუბლიკისა და ქალაქის სპორტკომიტეტები, ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატი. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ იქნებ ჯობდა ერთი გულიანი და „კანონიერი" პატრონი გამოგვჩენოდა? იქნებ ამიტომ დავემსგავსეთ მოდრეიფე აისბერგს. ჩვენ უმაღლეს ლიგაში თამაშითა და შედეგებით ვჩანდით, მაგრამ ბევრმა არ იცოდა და ვერ ხედავდა, რომ ჩვენი „მასის" დიდი ნაწილი წლობით გადაუჭრელი პრობლემებისაგან შედგებოდა. „მშენებელს" საკუთარი ბაზა არა აქვს. ორი წლის წინ ქალაქის ალმასკომმა შესანიშნავი ნაკვეთი გამოგვიყო ბაზის ასაშენებლად მუხნარის ტყეში, მაგრამ ის ადგილი ახლაც ხელუხლებელია — მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. უმაღლესი ლიგის გუნდების სამასპინძლოდ ქუთაისის „დინამოს" სტადიონი დაგვითმეს, მაგრამ 1984 წელს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გასახდელები, საშხაპეები, ტაბლო და რადიოკვანძი მოიშალა და, სხვათა შორის, დღესაც ასეა. სად წაგვეყვანა სტუმრები სამოსის გამოსაცვლელად და დასაბანად არ ვიცოდით. 1985 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ ქუთაისის სახლმშენებელ კომბინატს ჩვენი გუნდისთვის „კავზის" მარკის 20-ადგილიანი ავტობუსი გამოუყო. 40 კაცს ასეთი პატარა ავტობუსი რას დაიტევდა? მაგრამ კიდეც რომ დაეტია, ჩვენ მაინც არაფერში გვარგებდა, რადგან მას კომბინატი უფრო ხშირად თავის საქმეებზე გზავნიდა. უმაღლეს ლიგაში რვა წელი ისე ვითამაშეთ, ერთიანი, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა არ გვღირსებია. იმ ორგანიზაციებიდან, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გვეხმარებოდა. როცა ვიკითხეთ, როგორ აქვთ მოგვარებული ეს საქმე ჩვენს მეტოქეებს, ასეთ დასკვნამდე მივედით: პროფკავშირული გუნდის შენახვის ერთადერთი სწორი გზა, ალბათ, ასეთია — რესპუბლიკის პროფსაბჭომ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭირო თანხა უნდა გამოუყოს სპორტსაზოგადოება „განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს. ეს თანხა სასწავლო-საწვრთნელო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის აუცილებელ ყველა დეტალს უნდა ითვალისწინებდეს. ერთსაც გეტყვით. გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი პრესის ფურცლებზე დისკუსია გაიმართა გუნდების სახელებზე. შარშანდლამდე ჩვენს გუნდს „სახლმშენი" ერქვა. იმის იმედი, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოღონიერებაში სხვა სამშენებლო ორგანიზაციებიც მოგვეხმარებოდნენ, ჩვენ მას „მშენებელი" დავარქვით, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა — ისევ სახლმშენებელი კომბინატის იმედზე დავრჩით. ისე, სახელის არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ისეთ სახელს გამოვძებნიდით, რომ... ალბათ, არც კვალიფიციური ექიმ-ტრავმატოლოგისა და მასაჟისტის მომსახურება ჩაგვეთვლებოდა ზედმეტ ფუფუნებად. განსაკუთრებული ყურადღება კი მოზარდებთან მუშაობას უნდა მივაქციოთ. სხვათა შორის, „მშენებლის" წარმატებებმა ქუთაისში რეგბი მეტად პოპულარული გახადა, ასე რომ, ჩვენთან ბავშვთა და მოზარდთა რეგბის სპეციალიზებული სკოლის შექმნაზეც შეიძლება ვიფიქროთ. ამ საქმეში რესპუბლიკის პროფსაბჭო და „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო უნდა დაგვეხმარონ. პირველ რიგში აი, ეს უნდა მოგვარდეს. უწინარეს ყოვლისა მომავალზე ფიქრი და ზრუნვა გვმართებს. უფროსი რეგბისტების გასაჭირის ფონზე, ალბათ, არ გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, რა პირობებში ვარჯიშობენ ბავშვთა ჯგუფები, რომელთაც რამაზ სვანიძე ავარჯიშებს. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, თუ პირობები შეიქმნება, „მშენებელი" კვლავ წარმატებით განაგრძობს გამოსვლას უმაღლეს ლიგაში და რეგბიც ბევრისთვის საყვარელ თამაშად დარჩება ჩვენს ქალაქში. ასე წვითა და დაგვით შექმნილ ტრადიციებს გაფრთხილება ჰჭირდება.

შალვა ჭურციკიძის მონათხრობში ბევრი რამ არის ყურადსაღები და საგულისხმო, მაგრამ ალბათ, განსაკუთრებით ერთი რამ გენიშნათ. დიახ, ასე გვჩვევია, სურვილით ატაცებულები ნიჭით და ენთუზიაზმით გავიტანთ ლელოს, მერე კი ეს ენთუზიაზმი გვიქრება და უგერგილობით ვაფუჭებთ საქმეს. ქუთაისელ რეგბისტთა ალმაფრენამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ჩვენი ფარული რეზერვები და იმაშიც დაგვარწმუნა, რომ კარგად დაწყებულ საქმეს გულიანი თანადგომა ჰჭირდება, თორემ ერთ დროს ნაქებმა გუნდმა მაღალი ადგილებისათვის ბრძოლაში შეიძლება „დისტანცია მიატოვოს" და მარტო ტრადიციებიღა შემოგვრჩეს გასახსენებლად. ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს ქუთაისში რეგბის განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა გეგმა. ინტერესს ხომ ისიც აცხოველებს, რომ ამ ქალაქის რეგბისტთა გუნდს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო წლევანდელი ჩემპიონატის სტარტი გაუცუდდა, ახლა უფრო შეაწუხებს ის პრობლემები, რომლებზედაც შალვა ჭურციკიძემ ისაუბრა.

როგორც ითქვა, „მშენებლის" საწვრთნელი ბაზისთვის ადგილი კარგა ხანია გამოიყო. ქალაქის სახლმშენებელმა კომბინატმა პროექტიც შეიმუშავა და მალე ხარჯთაღრიცხვასაც დაასრულებს. ახლა, როგორც გვითხრეს, ჯერი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროზეა, რომელმაც პროექტი უნდა დაამტკიცოს და საჭირო თანხებიც გამოყოს. თუ ეს საქმე დროულად გაკეთდა, მშენებლობის დამთავრებას 1988 წლისთვის ვარაუდობენ.

„დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია წელსვე უნდა დასრულდეს. ეგაა რომ, შესაძლოა ბალახის საფარის განახლებამ მატჩების ჩატარება შეაფერხოს (ბალახი ხომ უნდა მომაგრდეს), მაგრამ ოღონდ ამ სტადიონს ეშველოს და რეგბისტები ცოტას კიდევ გაიჭირვებენ. მანამდე მათ სხვა მოედნებს შეაშველებენ.

აღარ უნდა გაჭიანურდეს რეგბის სპეციალიზებული სკოლის გახსნაც. ამ საშვილიშვილო საქმეში ქუთაისელებს, რა თქმა უნდა, სხვებიც, კერძოდ, „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო უნდა ამოუდგნენ მხარში.

„მშენებლის" რეგბისტებს კი ამჟამად საყოფაცხოვრებო პრობლემების გარდა სხვა საფიქრალიც გაუჩნდათ. ექვსი ძირითადი მოთამაშე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ზოგიერთი მოთამაშე დაშავებულია. ცხადია, ამიტომაც ვერ გამოდგა წლევანდელი ჩემპიონატის სტარტი ისეთი, როგორსაც ველოდით. „უკან დასახევი გზა არა გვაქვს და არც ვაპირებთ დახევას. — გვითხრა ქუთაისის „მშენებლის" ახალმა უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა დუგლას კავთელაშვილმა. — მოსკოვის ტურამდე საწვრთნელ შეკრებას ჩავატარებთ. ვეცდებით კარგად მოვემზადოთ და ისე ვიასპარეზოთ, რომ აუცილებლად მოვხვდეთ რვა უძლიერესს შორის. ახლა მხოლოდ ამაზე ფიქრობს „მშენებლის" ყველა წევრი. იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება. ამ სიტყვებს გადაჭარბებულ ოპტიმიზმად ნუ ჩამითვლით. განა არ ვიცი, რამდენად სახიფათოა სპორტში პროგნოზები, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ თავს არ დავზოგავთ მიზნის მისაღწევად. ამისათვის, ვფიქრობ, სამი თამაში მაინც უნდა მოვიგოთ და ერთიც ფრედ დავამთავროთ. ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ ბიჭების საბრძოლო განწყობილება მალაპარაკებს ასე თამამად. ეს არის ახლა ჩვენი მთავარი საფიქრალი, დანარჩენზე კი მერე ვისაუბროთ".

დიახ, კონკრეტულმა ვითარებამ კონკრეტული მიზანი დაუსახა გუნდს და პირველ რიგში ამ მიზნის მიღწევაა აუცილებელი. მაგრამ როგორც არ უნდა დაამთავროს „მშენებელმა" ჩემპიონატი, ერთი რამ ცხადია: გუნდს გამხნევება და მხარში ამოდგომა ჰჭირდება. ქუთაისელი რეგბისტები ხომ კარგა ხანია ერთნაირი შემართებით ერკინებიან მეტოქეებსა და თავის მოუწყობელ ცხოვრებას. მართალია მეტოქეთა ძლევას ახერხებენ, მაგრამ უამრავ წვრილმან-მსხვილმანთან, დღემდე რომ აფერხებს მათ წინსვლას, ვერაფერი გააწყეს. სწორედ ამიტომ, ყველა, ვისაც ქართული რეგბის ბედი გვაღელვებს, უნდა დავირაზმოთ და მხარში ამოვუდგეთ ქუთაისელებს, საერთო სიამაყე საერთო საზრუნავად უნდა იქცეს.

თამაზ მიგრიაული,
„ლელოს" სპეც. კორ.
ქუთაისი.

ეს მისაბაძია!



პირველი ნაბიჯები

ბუნებაზე დაკვირვების, ფიზიკური გაჯანსაღებისა და ტურიზმის განვითარების მიზნით წყალტუბოს პირველი საბავშვო ბაგა-ბაღის გამგემ ნ. ბობოხიძემ, მეთოდისტმა ზ. ბედიაშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა ქ. კალმახელიძემ, აღმზრდელებმა თ. კოვზირიძემ და ნ. არველაძემ ტურისტული ლაშქრობისათვის მარშრუტი შეადგინეს.

დადგა ნანატრი დღეც.

ნორჩ ტურისტთა ჯგუფი სათაფლიის ნაკრძალისაკენ მიმავალ გზას გაუყვა. ბავშვების მხიარულებამ მიდამო გამოაცოცხლა.

პირველი კილომეტრები ბავშვებმა იოლად დაძლიეს. მერე დაღლა დაეტყოთ, დაბრკოლებებიც შემოხვდათ გზაზე, მაგრამ ერთმანეთის დახმარებით იოლად დასძლიეს სიძნელეები და ამასობაში სათაფლიაც გამოჩნდა. ცოტა შეისვენეს და სპორტული შეჯიბრება გაჩაღეს. ასპარეზობამ „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად" მათი მოხერხებულობა და სწრაფი აზროვნების უნარი გამოავლინა.

მერე იქვე, ბუნების წიაღში კონცერტიც გამართეს.

ნორჩებმა ინტერესით დაათვალიერეს სათაფლიის გამოქვაბული, დინოზავრის ნაკვალევი და შინ შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დაბრუნდნენ.

პატარებს დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ თავიანთი პირველი ტურისტული ლაშქრობა.

მისაბაძი თაოსნობაა.

ნათელა არველაძე,
წყალტუბოს № I ბაგა-ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი.

SOS

ზერტელი ბავშვები გთხოვენ!

სოფელ ზერტში ფეხბურთის სათამაშო მინდორი გვაქვს, რომელსაც ამ დღეებში გადახვნას უპირებენ. გემუდარებით, იქნებ დაგვეხმაროთ და გადაწყვეტილება შეცვალონ. აქ ყოველდღე ვთამაშობთ ბავშვები, ძალიან მოწადინებული ვართ შეჯიბრებებში გამოვიდეთ, ასე გვგონია, რომ გავიზრდებით, ჩვენნაირი ფეხბურთელები რაიონში არ იქნებიან.

თხოვნას ხელს აწერს 21 მოზარდი.

ველით პასუხს გორის რაიონის ალმასკომის ხელმძღვანელებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიენტირი—საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

როცა საქართველოს მოკრივეებზე ფიქრობ, არ შეიძლება 1944-1949 წლები არ გაგახსენდეს. ეს, ასე ვთქვათ, „ოქროს ხანა“ იყო ჩვენი მოკრივეებისთვის. დიახ, ამ წლებში მათ ხუთჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი.

ის შემდეგ, აგერ, ამ ათი-თორმეტი წლის წინ დავით კვაჭაძე გამოჩნდა დიდ სარბიელზე. კვაჭაძე ევროპის ჩემპიონიც გახდა (1977 წ. ლე), ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლითაც სამჯერ დაიმშვენა მკერდი (1976, 1977, 1980 წ.წ.). სხვათა შორის, დავითი მარტო არ ყოფილა. მას მხარს უმშვენებდნენ ნიჭიერი მოკრივეები, ერთმა მათგანმა — ირან ხიზანიშვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. თბილისში გამართულ ამ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მურმან თაქთაქიშვილს ხვდა წილად.

ჩვენი გჯეროდეთ...

და აი, კრივი საქართველოში ამედ ახლა აღორძინდა. ჯერ ო და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა, პირად შეჯიბრებაში ჩვენმა მოზარდებმა ი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ამას ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებში მოპოვებული წარმატება მოჰყვა. აქ ჩვენმა გუნდმა VI ადგილი დაიკავა, ნიკა სეთურმა, რუდიკ კაზანჯიანმა, სპარტაკ ასანიძემ და დავით შარვაშიძემ კი თო ოქროსა და ბრინჯაოს, და ი ვერცხლის მედალი მიიღეს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ხვიჩა ხდრიანმა გაგვახარა. მან ჯერ ოპის ჭაბუკთა პირველობა მოიგო, ჭაბუკ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში კი II ადგილს დასჯერდა. ახალგაზრდებმა თითქოს ეროსებიც გამოაცოცხლეს: ჯერ ალბერტ კაზანჯიანმა მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი, შემდეგ იური სავოჩკინმა იმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში.

ჩვენმა მოკრივეებმა წლევანდელი წელიც წარმატებით დაიწყეს. ალბერტ კაზანჯიანმა საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ხოლო სავოჩკინმა — ბრინჯაოსი. ნიკა სეთურმა კი, საქართველოს მოკრივეთაგან პირველმა მიიღო მონაწილეობა სსრკ—აშშ-ის ტრადიციულ მატჩში.

მაგრამ სასპარტაკიადო შეჯიბრება მაინც სხვაა. აქ პასუხისმგებლობაც მეტია და სპარტაკიადისთვის მზადებაც სულ სხვა, უფრო ხანგრძლივი დროით, მთელი დატვირთვით მიმდინარეობს ხოლმე. როგორ ემზადებიან ჩვენი ბიჭები საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის. აი, რაზე გვესაუბრება დღეს საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი კრივში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **რაბ გუნია.**

● **სპარტაკიადამდე რამდენიმე ე დარჩა. რის გაკეთებას აპირებთ ამ ხნის მანძილზე. რა მდგომარეობაა გუნდში, როგორ ემზადებიან ბიჭები?**

— 20 აპრილს გუნდი სოხუმში გაემგზავრა შეკრებაზე. ნაკრების კანდიდატები ლესელიძის მემორიალში მონაწილეობენ. შეკრებაც და მემორიალში მონაწილეობაც საკავშირო ტურნირისთვის მზადებას ისახავს მიზნად. ტურნირში, რომელიც ჩელიაბინსკის ოლქში, კაპეისკში მაისის ბოლოს მოეწყობა, ჩვენი რამდენიმე მოკრივე მიიღებს მონაწილეობას. ძირითადად ის სპორტსმენები, ვინც ობიექტური მიზეზების გამო გამოტოვა სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე ტურნირი. ვინც ჩელიაბინსკში არ გაემგზავრება, ლიტვის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის მოემზადება. ბალტიისპირელებმა გვთხოვეს აღგვედგინა ძველი ტრადიცია და კონტაქტები გავეახლებინა. ამ ამხანაგურ მატჩს 27-29 მაისს ლენინის სახელობის დარბაზი უმასპინძლებს.

ამის შემდეგ, ერთ კვირას (15-22 ივნისს) ნოვოროსიისკში დავყოფთ, სადაც 1964-1968 წლებში დაბადებულ მოკრივეთა საკავშირო ტურნირი გაიმართება. ჩვენი რესპუბლიკა ამ შეჯიბრებაზე 10 სპორტსმენით წარსდგება.

სპარტაკიადისთვის მზადების ბოლოსწინა ეტაპზე (ივლის-აგვისტოში) ალბათ რუსეთს ვეწვევით და ლუცკის ოლქში დავიდებთ ბინას. დაბოლოს მოსკოვში დავასრულებთ მზადებას.

აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი მოკრივეები მათ წინამორბედთა მარცხს საოცრად განიცდიან. როგორ გინდა XV ადგილის მერე ერთბაშად 7-8 საფეხურით დაწინაურდე, მაგრამ ბიჭები ისე ემზადებიან ამისათვის, თითქოს საკუთარი დანაშაულის გამოსწორება სურდეთ.

● **კრივის ყველა გულშემატკივარს სწორედ ეს აინტერესებს, რომელი ადგილის დაკავება გაქვთ განზრახული?**

— მეშვიდეზე უნდა გავიდეთ. ასე ვაპირებთ, მაგრამ არც მეექვსეზე ვიტყვით უარს. დიახ, წინა სპარტაკიადაზე XV ადგილს დავჯერდით. ორწლიანი მზადების ციკლის შემდეგ VII-VIII ადგილს ვგეგმავთ. გეთანხმებით, თამამზე თამამი გადაწყვეტილებაა. მით უფრო, რომ ახალგაზრდული გუნდია და ორ წელიწადში მომძლავრება და ნამდვილ ორთაბრძოლებში გამოცდილების მიღება ბევრმა ვერ მოასწრო, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ გია წერედიანი, ემელიან პულუხაძე, ანზორ ჯიმშელეიშვილი, დიმიტრი დანელია, რუბენ ქიქავა, მოსე გოლოძე და დავით შარვაშიძე მეტად ნიჭიერი და, მე ვიტყოდი, კრივისთვის დაბადებული ბიჭები არიან. თუ ამ ოთხი თვის მანძილზე იმ ზემოთ ნახსენებ სამ-ოთხ ტურნირში გამოიჩენენ თავს, თუ თავდაუზოგავად ივარჯიშებენ, რესპუბლიკის მთავარი გუნდის ღირსების დაცვასაც ვანდობთ.

● **სულ რამდენი მოკრივე ემზადება სპარტაკიადისთვის?**

— 36 კანდიდატი, სასპარტაკიადო რინგზე კი თორმეტი მოკრივე უნდა გამოვიდეს.

● **ჩვენი ნაკრების კანდიდატებმა მრავალ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. შარშან, დეკემბერში, თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამოვიდნენ, შემდეგ ქუთაისში, ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში მოსინჯეს ძალა, ამას საქართველოს სპარტაკიადა მოჰყვა. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს მათ ამ ტურნირებში?**

— ძირითადად კარგი. წარმატებებით გაგვახარეს ხდრიანმა, ალბერტ და რუდიკ კაზანჯიანებმა, ნიკა სეთურმა, კახა სამხარაძემ, დავით შარვაშიძემ, ბესო ლურჯიამ, ლევონ მარქარიანმა, ზაზა ურეკაძემ, სპარტაკ ასანიძემ, სამველ ვარდიკიანმა. ყველა მათგანი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია. ჯერჯერობით გამიჭირდება რამდენიმე მათგანის გამოყოფა. მათ ერთი სურვილი აერთიანებს და ჰკრავს კოლექტივად — ღირსეულად დაიცვან რესპუბლიკის ღირსება.



● **ვიცი, რესპუბლიკის ნაკრების რამდენიმე წევრი მზადების სხვადასხვა ეტაპზე ხანგრძლივად ჩამოშორდა თავის გუნდს...**

— ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ ამ შეკითხვაზე, რუდიკ კაზანჯიანი, ნიკა სეთური, კახა სამხარაძე და დავით შარვაშიძე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჭაბუკთა პირველობისთვის ემზადებიან, ხვიჩა ხდრიანი და ალბერტ კაზანჯიანი კი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ, რომელიც 7-17 მაისს აშშ-ის ქალაქ რინოში მოეწყობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ნაკრებ გუნდში ვერ მოხვდნენ. ჩვენ განსაკუთრებით ევროპის პირველობა გვაფიქრებს, რომლის გამართვის ვადები სპარტაკიადისას ემთხვევა. საქმე ისაა, რომ თუ კაზანჯიანი, სეთური, სამხარაძე და შარვაშიძე გამოაკლდნენ ჩვენს გუნდს, სულ ცოტა სამ-ოთხ მედალს მაინც დავკარგავთ. არადა, საკავშირო ნაკრებში სპორტსმენების დელეგირებისთვის წლეულს არავითარ კომპენსაციას არ ველით. გვეტყვით ალბათ, მარტო თქვენ ხომ არ გექნებათ დანაკარგი, სხვა რესპუბლიკებსაც ხომ დააკლდებათ რამდენიმე მედალიო. საქმეც ისაა, რომ სხვებს ამ მხრივ უკეთ აქვთ საქმე. აკი მოგახსენეთ, ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია-მეთქი. დიახ, სწორედ ჩვენ, და კიდევ ორი-სამი რესპუბლიკა აწვდის „რესურსებს“ ქვეყნის მთავარ გუნდს, ვინაიდან სხვა რესპუბლიკების გუნდებში ძირითად ბირთვს შედარებით მოზრდილი სპორტსმენები შეადგენენ. როგორც იცით, სასპარტაკიადო შეჯიბრებაზე კრივში 1963-1968 წლებში დაბადებულნი დაიშვებიან. ჩვენი ბიჭების უმრავლესობა 1967 ან 1968 წელს არის დაბადებული.

● **თუ არ ვცდებით, ნაკრების კანდიდატებიდან ზოგი „შრომითი რეზერვების“ ბაზაზე ვარჯიშობდა, ზოგი ქუთაისში, ზოგი სად და ზოგიც კიდევ სად. ასეთი დაქსაქსულობა ხელს არ გიშლიდათ მუშაობაში?**

— მთლად ასეც არ იყო საქმე. ჩვენ კალენდარი ისე გვქონდა შედგენილი, რომ ხანგრძლივი შეკრებისა თუ შეჯიბრების შემდეგ სპორტსმენს აქტიური დასვენებისთვის შინ ვუშვებდით. საკუთარ ქალაქსა თუ სპორტსაზოგადოებაში, საკუთარ ბაზაზე. რას ნიშნავს აქტიური დასვენება? იმას, რომ ბიჭებს თავგამოდებით აღარ უნდა ევარჯიშათ, მაგრამ არც ხელები უნდა ჩამოეშვათ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი განცხრომას მიეცა, ამას ჩვენს ენაზე პასიური დასვენება ჰქვია. როგორ არ ვუსაყვედუროთ მათ მწვრთნელებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უმეთვალყუროდ ტოვებდნენ შეგირდებს, აქაოდა, თუ დასასვენებლად გამოუშვეს, ბარემ დაისვენოსო.

გარდა ამისა, მოგეხსენებათ, წლეულს ჩატარდა საქალაქო თუ რაიონული სპარტაკიადები და ჩვენ რა უფლება გვქონდა, სპორტსმენები შინ არ გაგვეშვა.

სამაგიეროდ ახლა, მზადების ამ ეტაპზე კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ყველა კანდიდატი ერთდროულად გაივლის შეკრებას და დარჩენილი ოთხი თვის მანძილზე მთელი გუნდი ერთად იქნება. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, საკავშირო ნაკრების წევრები შეადგენენ.

● **ცოტა არ იყოს, საჩოთირო შეკითხვაა, საინტერესოა, ვისი იმედი გაქვთ ყველაზე მეტად?**

— ხდრიანის, ძმები კაზანჯიანების, სეთურის, სავოჩკინის, ეროსი მარგიანის, მამუკა შალამბერიძის...

● **ბევრ ჩვენს მოკრივეს III რაუნდი პრობლემად ექცა. ამ პრობლემის გადასაჭრელად რაიმე საგანგებო ზომებისთვის ხომ არ მიგიმართავთ?**

— ნაკრების კანდიდატების მწვრთნელებს უნდა ვუსაყვედუროთ. ისინი რომ ყოველმხრივ მომზადებულ სპორტსმენებს აგზავნიდნენ ნაკრებში, ეს საზრუნავი დამატებით არ გაგვიჩნდებოდა. აქ კი მხოლოდ ტექნიკურ-ტაქტიკური ილეთების დახვეწაზე ვიმუშავებდით, სამწუხაროდ, მწვრთნელები დიდ ყურადღებას არ უთმობენ III რაუნდის პრობლემას. ნაკრების შეკრებებზე კი ამ ნაკლის გამოსწორება ასე ადვილი არ გახლავთ. აი, მხოლოდ ახლა, ამ ეტაპზე თუ შევძლებთ ამ ხარვეზების აღმოფხვრას, ამ ოთხი თვის მანძილზე საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებას თანაბარ ყურადღებას მივაქცევთ.

● **კიდევ რაზე გაამახვილებთ ყურადღებას დარჩენილ პერიოდში?**

— ნოვოროსიისკის ტურნირის შემდეგ ბიჭები დაისვენებენ და ძალებს აღიდგენენ. მერე საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაზე ვიზრუნებთ, დასკვნით ეტაპზე კი ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალზე გავამახვილებთ ყურადღებას, თითოეულ მოკრივესთან ინდივიდუალურად ვიმუშავებთ.

● **არაფერი გვითქვამთ იმის შესახებ, თუ რა პირობებში ემზადებით.**

— საქართველოში მოკრივეთათვის ნორმალური პირობებია შექმნილი სოხუმში, აფხაზეთის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ სპორტსკოლაში, ცხინვალის „განთიადის“, ქუთაისის „ლოკომოტივისა“ და განათლების სამმართველოს, თბილისში „შრომითი რეზერვებისა“ და „ბურევესტნიკის“ ბაზებზე. ეგაა, რომ თბილისში სასტუმროების მხრივ არის ცუდად საქმე. არა გვაქვს სარეაბილიტაციო-აღდგენითი ცენტრიც. ნაკრებს დღემდე არ ჰყავდა ექიმი, მხოლოდ ახლახან გამოგვიგზავნეს.

● **რას იტყვით ნაკრების მწვრთნელებზე, კონსულტანტებზე?**

— ყველა მათგანი გამოცდილი და მრავალ ტურნირში გამობრძმედილია. უფროსი მწვრთნელი გახლავთ დიმიტრი დადიანი. მწვრთნელთა საბჭოში შედიან გარი ხაჩატუროვი, ალექსი ჯაფარიძე, ნიკოლოზ გარაბაჯი, ივანე ხატიაშვილი, ლუტული ვახტანგაძე და ნოდარ თორთლაძე. კონსულტანტები არიან ანდრო ნავასარდოვი, დავით კვაჭაძე და ვლადიმერ ძნელაძე.

● **ძირითად მეტოქეებად ვის თვლით გუნდურ და პირად შეჯიბრებაში?**

— ლენინგრადის, მოსკოვის, ბელორუსიის, ყირგიზეთისა და ლიტვის კოლექტივებს. საპრიზო ადგილებისთვის კი, ტრადიციულად, რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, უკრაინისა და სომხეთის მოკრივეები იბრძოლებენ.

ხდრიანსა და ალბერტ კაზანჯიანს ძირითადად მოსკოველ ალექსანდროვთან და ლენინგრადელ არტემიევთან მოუწევთ მძაფრი ბრძოლები. არც სავოჩკინის წონაში არიან ნაკლებ მრისხანე მეტოქეები. მარტო ყირგიზეთის გუნდის წევრი ნაზაროვი და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი სტეპანოვი რად ღირან. შალამბერიძესა და სეთურს ალბათ სტეპანოვის თანაგუნდელი ბალაი გაუწევს წინააღმდეგობას. არც სხვა წონით კატეგორიებში არიან სუსტი მოკრივეები.

● **დაბოლოს, იქნებ გსურთ თავად უთხრათ რაიმე თქვენს გულშემატკივრებს?**

— მინდა ფართო საზოგადოებას ჩვენი სჯეროდეს, მოკრივეთა ნაკრებს სწორედ ახლა უნდა მხარში ამოდგომა, გამხნევება და ქომაგობა. გარწმუნებთ, თავს არ შევირცხვენთ.

სხვათა შორის, სპარტაკიადა არ წყვეტს ყველაფერს. მთავარია, ისე წავიყვანოთ საქმე, ხალხი ბილეთს ვერ შოულობდეს როგორც დიდ, ისე ნებისმიერ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაზე. რა არის საჭირო ამისთვის? ის, რომ ყველამ, ქალაქად თუ სოფლად ერთნაირი გულმოდგინება გამოიჩინოს, ყველამ — მწვრთნელებმაც და შეგირდებმაც. ჯერჯერობით საყვედური არავის მიმართ არ გვეთქმის, გარდა აჭარის კრივის მესვეურებისა.

კრივი უკვე ბევრმა შეიყვარა, ტალანტებიც გამოჩნდნენ. ახლა მთავარია არ დავკარგოთ ისინი, ყველა პირობა შევუქმნათ ვარჯიშის, დასვენების, ნორმალური ცხოვრებისთვის. და კიდევ ერთი: ჰაერივით გვჭირდება კრივის სახლი, ისეთი, მოჭიდავეებს რომ აქვთ. დღეს, მართალია, მათ ვერ შევედრებით, მაგრამ კაცმა არ იცის, ხვალ რა იქნება...

ესაუბრა დავით პელიძე.

უნდური დგილები

აბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს მოკრივეთა ნაკრების საუკეთესო შედეგი ადგილი გახლავთ, ყველაზე მედ მოსაგონარი ჩვენი მოკრივეებისთვის 1971 წელი იყო, როცა ერთ-ერთი უკანასკნელი, XVI ადგილი ერგოთ.

სასპარტაკიადო გუნდურ შეჯიბრებებში სხვებზე ხშირად რუსეთის ფედერაციის მოკრივეები იმარჯვებენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულან მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებიც.

გაგაცნობთ საქართველოს მოკრივეთა საერთო გუნდურ შედეგებს:

წ. სპარტაკიადა	XII ადგილი
9 წ. I სპარტაკიადა	VII ადგილი
3 წ. I სპარტაკიადა	IX-X ადგილები
7 წ. სპარტაკიადა	XI ადგილი
1 წ. სპარტაკიადა	XVI ადგილი
წ. I სპარტაკიადა	VIII ადგილი
წ. I სპარტაკიადა	VII ადგილი
წ. III სპარტაკიადა	XV ადგილი

ყველა პრიზიორი

სასპარტაკიადო ტურნირებში საქართველოს ცალკეული მოკრივეები უფრო კარგად ასპარეზობდნენ, ვიდრე მთელი გუნდი. აი, ვინ გვასახელა: .

1959 წ. II სპარტაკიადა. ვერცხლის მედალი ჩვენი რესპუბლიკის ორ მოკრივეს გადაეცა — ჯუმბერ კვანტალიანსა (ქვემსუბუქი წონა; ქუთაისი) და სერგო ჩოტულიდის (მჩატე; თბილისი, „სპარტაკი“). III ადგილი რომეო კაკოფოვს ხვდა წილად (მეორე საშუალო, თბილისი, „დინამო“).

1963 წ. III სპარტაკიადა. ბრინჯაოს მედლით მხოლოდ ერთი სპორტსმენი დაჯილდოვდა — ნოდარ ქიქავა (უმჩატესი; თბილისი, „განთიადი“).

1975 წ. VI სპარტაკიადა. ამ სპარტაკიადაში მხოლოდ ქუთაისელებმა იმარჯვეს. ვერცხლის მედალი ივანე გოროდილოვმა მიიღო (პირველი საშუალო), ბრინჯაოს ჯილდო ვიქტორ ულიანიჩმა დაისაკუთრა (მძიმე).

1979 წ. VII სპარტაკიადა. ეს იყო ყველაზე დასამახსოვრებელი შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებისთვის. თვითონ განსაჯეთ: მედალოსანი საქართველოს 4 მოკრივე გახდა. არმიის სპორტული კლუბის წევრმა იური დიულინმა (48 კგ) ვერცხლის მედალი მიიღო. III ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ამირან ხიზანიშვილი (54 კგ. „ბურევესტნიკი“), მურმან თაქთაქიშვილი (71 კგ; „განთიადი“), დავით კვაჭაძე (81 კგ; „ბურევესტნიკი“).

ახლა ისიც ვთქვათ, VIII სპარტაკიადაზე ვინ გამოიჩინა თავი. პირველ სამეულში ვერავინ მოახერხა შესვლა, ჩასათვლელი ქულები კი გუნდს მისცეს რუსთაველმა სერგო სარქისიანმა (54 კგ; „შრომითი რეზერვები“), ფოთელმა იური სავოჩკინმა (60 კგ; „შრომითი რეზერვები“), სოხუმელმა რამზიკ ჩორიგბაიამ (63,5 კგ; „განთიადი“).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

ბოლო ტური ასტრახანში გაიმართება

ლენინგრადში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების (მეორე ექვსეულის) ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური.

ორ შეხვედრაში ქართველმა ხელბურთელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და გამარჯვებას მიაღწიეს: კიევის ასკ-თან 30:24, ხოლო კრასნოდარის სკიფ-თან 29:28.

ბოლო პაექრობა ჩვენს გუნდს მოსკოვის „კუნცევოსთან" ჰქონდა. სამწუხაროდ, თბილისელები კვლავ დამარცხდნენ — 22:29.

ამრიგად, დასკვნითი ტურის წინ (იგი ასტრახანში ჩატარდება 27 მაისს — 1 ივნისს) ჩვენს ხელბურთელებს 24 ქულა აქვთ და მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან. მომდევნო ადგილებზე არიან „ზარია" (22 ქულა), სკიფ-ი (21), „ნევა" (19), ასკ (14) და „კუნცევო" (11).

დებულების თანახმად, უკანასკნელ ადგილზე გასული გუნდი ეთიშება უმაღლეს ლიგას, ხოლო მე-10 და მე-11 ადგილებზე მყოფ კოლექტივებს დამატებითი გადასასვლელი შეხვედრები მოუწევთ პირველ ლიგაში გამარჯვებულთან და მეორე პრიზიორთან.

— ლენინგრადის ტურის შედეგებით და, უწინარეს ყოვლისა, თვით თამაშით, თუმცა 4 ქულა ავიღეთ და მეორე ექვსეულს ვუდგევართ სათავეში, პირდაპირ უნდა ითქვას, კმაყოფილი არა ვარ, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გარი მაჰავარიანმა. ისიც უნდა ითქვას, რომ ავადმყოფობის გამო სარბიელზე ვერ გამოვიდა ჩვენი მცველი ჩიბირაშვილი, ხოლო თავდამსხმელი ტაბიძე ტრავმირებული თამაშობდა. აშკარად დაგვალალატა ბულიამ, რომელიც დისციპლინის დარღვევის გამო არ წავიყვანეთ ტურზე. გუნდში მისი ყოფნის საკითხს ალბათ განიხილავს ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია. ცხადია, მოთამაშე, რომელიც არღვევს რეჟიმს, მით უფრო თავისი გუნდისათვის მძიმე სატურნირო ვითარებაში, მკაცრი გაკიცხვის ღირსია.

საქართველოს ჩემპიონატი ხელბურთში

ასე ფონს ვერ გავალთ

სტარტი აიღო საქართველოს ჩემპიონატმა ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. როგორც ვიცით, ტურნირი უკვე მესამე წელიწადია ახალი სისტემით ტარდება (თამაშები მიმდინარეობს საკუთარ და მეტოქის მოედანზე). ამჟამად რვა გუნდი გაყოფილია ორ ზონად — აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონებად. პირველში გამოდიან ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის (თბილისი), სამხრეთ ოსეთის, თელავის და რუსთავის გუნდები, მეორეში — აფხაზეთის, აჭარის, სამტრედიისა და ქუთაისის გუნდები.

გაიმართა პირველი ტურის მატჩები: თბილისი — თელავი—30:26, სამხრეთ ოსეთი — რუსთავი — 24:23, აფხაზეთი — ქუთაისი — 31:28, აჭარა — სამტრედია — 24:20.

როგორც ანგარიშებიდან ჩანს, შეხვედრები დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ უკვე პირველმა შეხვედრებმა საკმაოდ ბევრი ნაკლი დაგვანახა, როგორც ცალკეულ მოთამაშეთა, ისე საერთოდ ჩვენი ხელბურთის. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ყველა სახის შეჯიბრებაში (მოსწავლეთა, იუნიორთა თუ მოზარდთა) პრაქტიკულად ერთი და იგივე გუნდები მონაწილეობენ. ცხადია, აქ თვით დებულების შემდგენელთა მიმართ გვეთქმის საყვედური, ვინაიდან სწორედ მათ არ განსაზღვრეს შეჯიბრების მონაწილეთა ასაკი. თავად განსაჯეთ: ქუთაისელთა გუნდში 1963 წელს დაბადებულ გოჩა კაპანაძის გვერდით თამაშობდა... 1971 წელს დაბადებული ზვიად შათირიშვილი, რუსთავის გუნდში 1959 წელს დაბადებულ ომარ დვალიძისა და გია ბუბუთეიშვილის გვერდით (სხვათა შორის, ორივე რამდენიმე წლის წინათ თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდში ვარჯიშობდა, მერე კი თავი დაანებეს რეგულარულ წვრთნას) 1970 წელს დაბადებული აკაკი ჭანტურიძე და ზაზა სამხარაძე თამაშობდა. თელაველთა გუნდი მთლიანად 1969-71 წლებში დაბადებული მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. ამ ასაკის წარმომადგენლებს სხვა შეჯიბრებები აქვთ და მოზრდილთა პირველობაზე საერთოდ არ უნდა ვუშვებდეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ სკოლადამთავრებულებთან ადგილებზე არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს, ვინაიდან მათ ასე ვთქვათ, „ჩამოწერილებად" თვლიან. აფხაზეთს, აჭარას, სამხრეთ ოსეთს, ქუთაისს, რუსთავს, ე. ი. იმ რეგიონებს, სადაც უმაღლესი სასწავლებლებია, რესპუბლიკის ჩემპიონატში მოსწავლეების გუნდები გამოჰყავთ და არა მოზრდილთა კოლექტივები. ისმის კითხვა, სად მიდიან მოსწავლე ხელბურთელები სკოლის დამთავრების შემდეგ? ნუთუ ძნელია ვუპატრონოთ 10-15 ხელბურთელს, რომ ერთი ნაკრები გუნდი შევქმნათ და სისტემატურად ვიმუშაოთ მათთან? ეს კითხვა კარგა ხანია დაისვა, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერი ეშველა. ალბათ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თბილისის „ბურევესტნიკი" წელში ვერ იმართება. დიახ, იგი წლების მანძილზე არ ღებულობს სათანადო შევსებას რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან. ვთქვათ პირდაპირ: უმაღლესი ლიგის გუნდი 16-17 წლის მოსწავლე სპორტსმენებით ფონს, ცხადია, ვერ გავა.

საინტერესოა, საქართველოს ჩემპიონატზე უფრო პრესტიჟული და ავტორიტეტული რომელი შეჯიბრება შეიძლება იყოს რუსთავის, სამტრედიის, თელავის, სამხრეთ ოსეთისა და სხვათა გუნდებისათვის. თელავის სპორტის მესვეურთა არასერიოზულ განწყობილებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მათი გუნდი (თუ კი შეიძლება მას გუნდი ვუწოდოთ) თბილისში.... ექვსი მოთამაშის შემადგენლობით ჩამოვიდა, ხელბურთს კი, მოგეხსენებათ, შვიდნი თამაშობენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოდასახელებული ქალაქების გუნდებისათვის რატომღაც გადაუჭრელ საქმედ იქცა ერთი ფერის სპორტული ფორმის შეძენა. აბა, როგორი სანახავია, როცა გუნდი სხვადასხვა ფერის ტრუსებით და ცარცით დაწერილნომრიანი მაისურით თამაშობს. ვფიქრობთ, ეს საქმისადმი არასერიოზულ და არაპროფესიულ მიდგომაზე მეტყველებს.

საქართველოს ჩემპიონატის მატჩები თვეში ერთხელ ტარდება. ასე რომ, დრო თამაშიდან თამაშამდე სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა სერიოზულად მოვემზადოთ შეჯიბრებისათვის.

გურამ ძაგანია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.

სსრ კავშირი—ფინეთ

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. სსრ კავშირის პირველი ნაკრები მიიღებს ფინეთის ეროვნულ გუნდს.

ცენტრალური ტელევიზიის II
გრამით გადასცემს მატჩის პირ
ტაიმს 20 საათიდან თბილისის
ით, ხოლო I პროგრამით, 21
თიდან, მეორე ტაიმს.

სსრ კავშირის თასზე

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის წლევანდელი მფლობელი 2 მაისს გამოვლინდა, 3 მაისს კი დაიწყო შემდგომი, 1987 წლის თასის გათამაშება. ჩატარდა სამოცდამეოთხედფინალის მატჩები, რომლებშიც გამოდიოდა პირველი და მეორე ლიგების 64 გუნდი.

ბათუმის დინამოელებმა, როგორც ვიუწყებოდით, კიევში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი არმიელთა გუნდი, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ" კრასნოგორსკში წააგო „ზორკისთან" — 1:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 5:3 (დამატებითი პენალტებით), ასკ (დონის როსტოვი) — „სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი) 3:1, „დნეპრი" (მოგილიოვი) — „ნივა" (ტერნოპოლი) 3:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „არსენალი" (ტულა) 3:0, „სოკოლი" (სარატოვი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 4:2, „ზაკარპატიე" (უჟგოროდი) — „დინამო" (ბრიანსკი) 4:0, ცსკა — „ზნამია ტრუდა" (ორეხოვო-ზუევო) 4:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „ავანგარდი" (კურსკი) 4:1, ასკ (ოდესა) — „ურალანი" (ელისტა) 1:4, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ნივა" (ვინიცა) 3:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:3 (დამატებითი პენალტებით), „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 1:2, „ხიმიკი" (გროდნო) — „კრასნაია პრესნია" (მოსკოვი) 2:1, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ცელინიკი" (ცელინოგრადი) 2:0, „ტორპედო" (რუბცოვსკი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:2, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 1:0, „სოხიბკორი" (ხალკაბადი) — „დაუგავა" (რიგა)
1:3, „ურალმაში" (სვერდლო
— „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:1,
ხტიორი" (ყარაგანდა) — „ა
ტასი" (კლაიპედა) 1:0, „მელი
ტორი" (ჩიმკენტი) — „ტრა
რი" (პავლოდარი) 2:3, „გეო
გი" (ტიუმენი) — „შინიკი" (
ოსლავლი) 1:0, „დინამო" (სტავ
პოლი) — „ზარაფშანი" (ნ
4:1, „პამირი" (დუშანბე) —
ფტიანიკი" (ფერგანა) 5:4 (
ტებითი პენალტებით), „ზვე
(პერმი) — „ქიაფაზი" (კირო
დი) 7:8 (დამატებითი პენალტებ
„როტორი" (ვოლგოგრადი) —
ტიში" (ომსკი) 4:1, „ყუბანი" (
სნოდარი) — „დინამო" (კი
4:0, „ყარაბახი" (სტეფანაკერტ
ასკ „კარპატი" (ლვოვი) 3:5 (
ტებითი პენალტებით), „დი
(სამარყანდი) — „ზვეზდა" (
ტსკი) 1:0.

ამრიგად, თასის გათამაშების
მდგომ ეტაპზე გავიდნენ: „კრ
სოვეტოვი" (კუიბიშევი), „კოტ
(აბოვიანი), ასკ (დონის როსტ
„დნეპრი" (მოგილიოვი), „ზ
(კრასნოგორსკი), „როსტსელ
(დონის როსტოვი), „სოკოლი"
რატოვი), „ზაკარპატიე" (უჟგ
დი), ცსკა, „კუზბასი" (კემერ
„დინამო" (ბათუმი), „ურა
(ელისტა), „ფახთაქორი" (ტ
ტი), „ტავრია" (სიმფეროპო
„ფაკელი" (ვორონეჟი), „ხი
(გროდნო), „ურალეცი" (ნიჟნი
გილი), „მეტალურგი" (ზაპორო
„კოლოსი" (ნიკოპოლი), „სპა
კი" (ოქტემბერიანი), „დაუგ
(რიგა), „ნისტრუ" (კიშინიო
„შახტიორი" (ყარაგანდა), „ტ
ტორი" (პავლოდარი), „გეოლ
(ტიუმენი), „დინამო" (სტავრ
ლი), „პამირი" (დუშანბე), „ქი
ზი" (კიროვაბადი), „როტორი"
ლგოგრადი), „ყუბანი" (კრასნ
რი), ასკ „კარპატი" (ლვოვი), „
ნამო" (სამარყანდი).

ჭაბუკები—ნახევარფინალ

საბერძნეთში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში 16 წლის ასაკამდე ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა (უფროსი მწვრთნელი ბ. იგნატიევი) დაამარცხეს ჰოლანდიისა (3:1) და საფრანგეთის (4:1) გუნდები.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ესპანეთის გუნდი. მ
ნახევარფინალში დაწყვილდნენ
ალიისა და გერმანიის დემო
იული რესპუბლიკის გუნდები.

• • •

საფრანგეთის ქალაქ ტუ
მიმდინარეობს ახალგაზრდა ფე
რთელთა საერთაშორისო ტურ
სსრ კავშირის ნაკრებმა ბე
გუნდთან შეხვედრაში ანგა
3:0 მოიპოვა გამარჯვება.

ჭადრაკი

ორ ლიგად

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში (უმაღლესი ლიგა) 8 კაცი მონაწილეობდა. ისინი ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ოსტატობის კანდიდატი ავთანდილ ქაჩლიშვილი, რომელმაც 14-დან 11 ქულა მოაგროვა. 9 ქულით მეორე იყო ოსტატობის კანდიდატი გივი ბერძენიშვილი, 8,5 ქულით მესამე —შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი გიორგი ჰუმბურიძე.

პირველი ლიგის ტურნირში 14 შესაძლებლიდან 11 ქულით გაიმარჯვა იოსებ მანგასარიანმა.

ალექსანდრე ბლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

პიკე გვატყობინებს

იტალიის ნაკრების მწვრთნელის ენცო ბეარზოტის თანაშემწე, წარსულში ცნობილი ცენტრალური მცველი ჩეზარე მალდინი ამასწინათ სოფიაში ჩავიდა ბულგარეთის ნაკრების თამაშის სანახავად. აი, მისი აზრი:

— ბულგარელები ჩინებულ ფეხბურთს თამაშობენ, ისინი კარგად იცავენ თავს და ენერგიულად უტევენ. განსაკუთრებით მომეწონა ნახევარმცველი გეტოვი, რომელიც პლატინის ჰგავს... ბულგარელებთან წარმატების მისაღწევად ძალების სრული მობილიზაცია დაგვჭირდება.

მექსიკის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ცნობილ თავდამსხმელ უგო სანჩესს სხვა პროფესიაც აქვს: იგი კბილის ექიმია. თავისუფალ დროს, პრაქტიკის მისაღებად სანჩესი მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში ატარებდა.

— მე ასე ვფიქრობ: გაცილებით უფრო ადვილია გოლის გატანა, ვიდრე ავადმყოფი კბილის მკურნალობა და გადარჩენა — განაცხადა განთქმულმა სნაიპერმა.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ინგლისის ნაკრების ყოფილმა მეკარემ გორდონ ბენქსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იტალიელებს მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნების არავითარი შანსი არ ექნებათ. ბენქსი თვლის, რომ ჩემპიონობის პრეტენდენტი ოთხი იქნება: გფრ-ის, არგენტინის, ურუგვაისა და მექსიკის ეროვნული გუნდები.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციასა და ფეხბურთელთა ეროვნული ასოციაციას შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანკო კარარო თანამდებობიდან გადადგა.

ჟურნალისტებთან საუბარში გადამდგარმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ პოსტს იგი ვერ უთავსებდა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობას და ამის გამო მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისს ჯეროვან დროსა და ყურადღებას ვერ უთმობდა.

მიმომხილველები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ. მათ იყნოსეს, რომ კარაროს კარგა ხანია კონფლიქტი აქვს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან (ფრედერიკო სორდილიო) და ფეხბურთელთა ეროვნულ ასოციაციასთან (ანტონიო ბატარესე) და მათი შერიგება არ ხერხდება.

ახლა იტალიაში გაფაციცებით ეძებენ კანდიდატურას მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე და სურთ ეს თანამდებობა მტკიცე ხასიათის, ავტორიტეტულ და გავლენიან პიროვნებას ჩააბარონ.

ეკრანზე და ეთერ

ცენტრალური ტელევ
7 მაისი. დილის ტანვარჯიში
9.00 (2); ევროპის ჩემპიონ
ძალოსნობაში — **19.30** (2);
ერთაშორისო ამხანაგური
ჩი ფეხბურთში: სსრ კავშ
(ნაკრები) — ფინეთის (ნაკ
— **20.00** (2) და **21.00** (1);
დობის ველობოლა — **20.45**

საკავშირო რადიო. 7
ისი. ტანვარჯიში — **6.15**;
წარმოო ტანვარჯიში — 1

საქართველოს ტელევ
7 მაისი. საერთაშორისო
ნაგური მატჩი ფეხბურთში:
კავშირი (ნაკრები) — ფ
(ნაკრები) — **21.00** (მეორე
იმი).

საქართველოს რადიო.
ისი. დილის ტანვარჯიში—
ვარჯიში მოსწავლეთათვის
11.40; სპორტის მოყვარულ
თვის — **13.30**.

რედაქტორის მოად
თ. გაჩეჩილ

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-20

ჩვენი ინდექსი:
68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება
ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22